

საქართველოს კანონი

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი, №47-48, გვ. 21) 96-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი, სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოქალაქე სამკურნალოდ იმყოფება, შესაბამისი სამხედრო ნაწილის მიერ, თუ მინდობილობას სამხედრო მოსამსახურე გასცემს. წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირის მიერ გაცემულ მინდობილობას დაამოწმებს შესაბამისი წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი